ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 40-ბ

„ 27 მაისი ‘’ 2022 წ.

1. ხელშეკრულებისდამდებიმხარეები

1.1 ერთის მხრივ,სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო” (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი უფროსის რევაზ ბეჟაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,მაქს გარანტი‘’ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) დირექტორის სალომე მახარაშვილი სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

- 2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში სააგენტოს საჭიროებისათვის ელექტროდების, საჭრელი ქვების, დამცავი ჩაფხუტი და ბურღების შესყიდვა (საქართველოს კანონის მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტი) შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება (CPV-18400000 - სპეციალური ტანსაცმელი და აქსესუარები CPV-31700000 - ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები CPV-44500000 - ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჭაჯვები და ზამბარები/რესორები დეტალური კოდი CPV-18444110 - ჩაფხუტები CPV-31711140 - ელექტროდები CPV-44512000 - სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები) მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **1040** (ერთი ათას ორმოცი) ლარად. (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესასყიდი საქოლნის ჩამონათვალი, რაოდენობა ერთეულის ღირებულება და საერთო ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი № 1-ში.

3.2. ხელშეკრულების დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3 საქოლნის ჩამონათვალი CPV-18400000-120 ლარი. CPV-31700000-620 ლარი. CPV-44500000-300ლარი.

.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებლის მაღაზიიდან, მისამართზე : ქ. თბილისი,კოსმონავტების ქ.# 25.სანტექნიკის უბნის 56.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს, სასაქონლო ზედნადებს საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან) დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება.
6.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
6.3 ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთჯერადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტების შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა ვალდებულებები
7.1მიმწოდებელი ვალდებულია:
7.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.3. კეთილსინდისიერად დამაღალ პროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ დროული და სრული დაფინანსება.
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება
8.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
8.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.
8.2 შემსყიდველს უფლება აქვს:
8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
8.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი
9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების“ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა
11.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების (მათ შორის ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების) შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2 . ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამის მხარეს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;
13.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს, შემსყიდველი სააგენტოს შესყიდვების მენეჯერი ივანე ყურაშვილი.

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

15.2.1 მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება;

15.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2022 წლის 31 აგვისტო ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	**მიმწოდებელი“**
სსიპ“ველური ბუნების ეროვნული სააგენტო”	**შპს ,,მაქს გარანტი”**
გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ სართიჭალა,	ქ .თბილისი კოსმონავტების ქ.№ 25
სახელმწიფო ხაზინა	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
სახაზინო კოდი TRESGE22	კოდი BAGAGE22 .
ა/ა # GE24NB0330100200165022	ა.ა. GE37BG0000000345920186
ს/კ № 226575024	ს/კ№406306992

დანართი №1

№	საქოლნის დასახელება	CPV	განზომილების ერთეული	რაოდენობ	ერთ. ღირებულებ	ჯამური ღირებულება
1	ელექტროდი (GEKA 3.20*350)	31711140	შეკვრა	20	31	620
2	საჭრელი რგოლი230*2,5*22,2314ა	44512000	ცალი	50	3,50	175
3	დამცავი ჩაფხუტი სვარკის (ქამელიონი)	18444110	ცალი	1	120	120
4	ბეტონის ბურღი 14*460	44512000	ცალი	2	15	30
5	ბეტონის ბურღი 16*600	44512000	ცალი	1	40	40
6	ბეტონის ბურღი 32*600	44512000	ცალი	1	55	55
	ჯამი					**1040**

„შემსყიდველი“
სსიპ „ველური ბუნების ეროვნული სააგენტო“

„მომწოდებელი:
შ.პ.ს. „მაქს გარანტი “

LEPL„WILDLIFE NATIONAL AGENCY"
Digitally signed by LEPL„WILDLIFE NATIONAL AGENCY"
Date: 2022.05.27 11:24:10 +04'00'

Salome Makharashvili 01019072172
Digitally signed by Salome Makharashvili
Date: 2022.05.27 11:10:20